პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 217 (2378) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მომავალი კულტურულ-სპორტული კომპლექსისაა

ხობში გაიმართა სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი თემაზე „კულტურულ-სპორტული კომპლექსის მუშაობის სრულყოფა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად“.

რატომ შეაჩერა სწორედ ამ ქალაქზე არჩევანი სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, რომლის ინიციატივითაც ეს თათბირი მოიწვიეს?

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ხობის რაიონში განხორციელდა დიდი მუშაობა ახალგაზრდობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის, რამაც დიდად შეუწყო ხელი კულტურულ-სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. საკურორო კომპლექსი, სპორტული დარბაზი, კულტურის სასახლე, ალიო მირცხულავასა და პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმები, საბრძოლო დიდების მემორიალი, ახალგაზრდული კლუბი — აი, იმ ობიექტების არასრული სია, რომელთა მეშვეობითაც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა შინაარსიანი და საინტერესო გახდა, ახალი იმპულსი მიეცა რაიონის კულტურულ-სპორტულ ცხოვრებას. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რაიონის კულტურის განყოფილება სამჯერ დაჯილდოვდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშითა და დიპლომით.

სამასზე მეტი სტუმარი ეწვია ხობს. სემინარის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. დაესწრნენ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ მასობრივ კულტურულ-სპორტულ დღესასწაულს.

თათბირზე გამოსულმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ტ. ვ. გოლუბცოვამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილია მხოლოდ 1300 კულტურულ-სპორტული კომპლექსი. მათი ამო-

იხ. მე-2 გვ.

● სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული წინადადებების შესაბამისად იქმნება ომისა და შრომის ვეტერანთა სრულიად საკავშირო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის შექმნის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი.

● საქართველოში დამთავრდა სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონიები, რომლებითაც მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის მშრომელები. სახელმწიფო ჯილდოები მიიღო სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პრაქტიკულად ყველა დარგის, შრომითი საქმიანობის სხვა სფეროების 8.309 მუშაკმა.

● ხვალ თბილისში იხსნება სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს რესპუბლიკაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები.

● საქართველოს მოწინავე სპორტსმენები და გუნდები, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ამ თვეში სტუმრად ეწვევიან მოწინავე შრომით კოლექტივებს.

● პორტუგალიაში დიდი წარმატებით დასრულდა პოპულარული ქართული ანსამბლის „რუსთავის“ გასტროლები. ამავე ქვეყანაში გამოდიოდა აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნანი ბრეგვაძე.

● რუსთავში საფუძველი ეყრება ცხენოსნობის განვითარებას. ჩატარებულია საორგანიზაციო სამუშაოები. ახლო მომავალში საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე დაიწყებენ იპოდრომის მშენებლობას.

ვლადიმერ გოგოლაძე

ერთხანს როგორღაც შეეჩვიეთ, რომ გამოკვეთილი ლიდერი, ჭეშმარიტი ვარსკვლავი აღარ გვყავდა ტანვარჯიშში. ერთთავად ძველების სახელებს ვიხსენებდით სიამაყით და სინანულით: გულო რცხილაძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, გიორგი ბაბილაძე, ნიკოლოზ თაყაიშვილი, ლევან ყანჩაველი, პაველ რომანიშვილი... დიახ, შესანიშნავი სპორტული პედაგოგების გიორგი ეგნატაშვილისა და გაიოზ ბერელაშვილის აღსაზრდელებმა კარგა ხანია დატოვეს საბრძოლო და ნუგეშად მათ მიერ მოპოვებული წარმატებები დაგვრჩა.

არა, ნიჭიერი ოსტატები მერეც გვყავდნენ, მაგრამ თითო-ოროლა: ვლადიმერ ჭაიანი, პაატა შამუგია, მალხაზ თათარაძე... და აი, ვლადიმერ გოგოლაძის გამოჩენამ დიდ ტანვარჯიშში, მისმა სტაბილურმა გამოსვლებმა ყველას და ყველაფერს გადააჭარბა.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი იუნიორებში თავისუფალ და ღერძზე ვარჯიშში, კონტინენტის 1984 წლის იუნიორთა ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი მრავალჭიდში, ბრინჯაოს მედლის მფლობელი 1985 წელს გამართული ჩემპიონატის, სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშში, მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, საერთაშორისო და საკავშირო ტურნირების მონაწილე...

ნაყოფიერი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის, 20 წლის ვლადიმერ გოგოლაძისათვის ეს წელიც. უნდა ითქვას, რომ სპარტაკიადისთვის აქტიურ მზადებას ლადო საქმაოდ რთული ტრავმის მოშუშების შემდეგ შეუდგა. მონდომებამ, შეუპოვრობამ, ტანვარჯიშისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა თავისი ჯაიტანა — გოგოლაძე, როგორც იტყვიან, კვლავ „ორივე ფეხზე დადგა“ და მოსკოვის საზაფხულო სტარტებს საუკეთესო სპორტულ ფორმაში შეეგება.

მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ სარბიელზე სპარტაკიადის დღეებში მართლაც საინტერესო ბრძოლები გაიმართა გუნდურ პირველობაში. ყველასათვის მოულოდნელად საქართველოს ნაკრებმაც ისახელა თავი. გუნდი, რომლის სული და გული ვლადიმერ გოგოლაძე იყო, აღიარებული გრანდების — რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კოლექტივების შემდეგ მესამე საპატიო ადგილზე გავიდა და სულ ცოტათი ჩამორჩა მეორე პრიზიორს. ვლადიმერ გოგოლაძემ და მისმა თანაგუნდელებმა ამირან ბერიანიძემ, ალექსანდრე ლებედევმა, ნუგზარ ღვინიაშვილმა, ზაზა ხომასურიძემ, ლევან სისაურმა ერთობ მოულოდნელი საჩუქარი მოგვართვეს — „დაუგეგმავი“ ბრინჯაოს მედლები.

კიდევ უფრო შთამბეჭდავად იასპარეზა ვლადიმერ გოგოლაძემ მრავალჭიდში. ჩემპიონის დიდი მედლისათვის აქ ქართველ სპორტსმენთან ერთად იბრძოდნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორიცაა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ არტიომოვი და მისი მუდმივი მოჭიდპე — სერგეი გუსევი. მართალია, ლადომ გამოცდილი არტიომოვერ დაჯაბნა, მაგრამ ბოლო სახეობაში — ღერძზე ბრწყინვალედ შეასრულა ვარჯიში, 9,9 ქულა მიიღო, 0,250 ქულით გაუსწრო გუსევს და ყვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა. გარდა ამისა, ლადომ აქ კიდევ ორი მედალი მოიპოვა: ოქროსი (ღერძზე) და ბრინჯაოსი (ტაიჭზე).

ბავშვთა სპორტი — რეზერვი

მოდის დიდი ფეხბურთის ცვლა

სულ ახლახან მოსკოვში გაიმართა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობა 1968-69 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ეს იყო მეტად საინტერესო შეჯიბრება, რომელიც დამთავრდა მოსკოვის დინამოელთა გამარჯვებით, თბილისის „დინამომ“ საპატიო შედეგს მიაღწია და მეორე ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრების შედეგებზე ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, შემდეგ კი ვთხოვეთ თბილისის „დინამოს“ სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის დირექტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ომარ შუვერიძეს და სკოლის უფროს მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ბორის სიჟინავას თვითანთი მოსაზრებანი გაეზიარებინათ „ლელოს“ მკითხველთათვის. ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე ვაქვეყნებთ მწვრთნელთა ნაამბობს.

იპონი — მამაკაცებს

ქალთა ძიუდო ნელა, მაგრამ მტკიცედ იმკვიდრებს თავის უფლებებს. ამაში გვარწმუნებს გახშირებული ტურნირები. ერთ-ერთი ასეთი საკავშირო ტურნირი მეორედ ჩატარდა ქ. ვლადიმირში სახელწოდებით „რუსეთის ოქროს რკალის მარგალიტი“. შეჯიბრებაში 23 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის თბილისის ნაკრების ექვსი ძიუდოისტიც იყო. ტურნირზე ბევრმა ძლიერმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. აქ შეეკრიბნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები. ასე რომ, შეჯიბრება შემადგენლობის მიხედვით მხოლოდ საკავშირო ჩემპიონატს თუ ჩამოუვარდებოდა.

თბილისელი ძიუდოისტებიდან თავი გამოიჩინეს ქეთინო ჩართოლანმა (56 კგ) და ია ზღულაძემ (61 კგ). მათ ხუთ-ხუთი შეხვედრა მოიგეს სუფთად, მხოლოდ თითო წააგეს და მესამე ადგილი დაიკავეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისელებმა V-VI ადგილები გაიყვეს როსტოვის გუნდთან ერთად.

ამ შეჯიბრებამ ნორჩ სპორტისმოყვარულთა ინტერესი უნდა გამოიწვიოს. ხვალ 15 საათზე პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე ტანვარჯიშულ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება 1973-1976 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური ღია პირად-გუნდური შეჯიბრება ტანვარჯიშში ჟურნალ „მართვეს“ პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, თბილისის საუკეთესო ნორჩი სპორტსმენები.

ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადა

ამჯერად სპარსეთის ყურეში

თანამედროვე საერთაშორისო სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა საჭადრაკო ოლიმპიადა. იგი სრულად გამოხატავს ფიდე-ს დევიზს — „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“. ოლიმპიადები აერთიანებს, ამეგობრებს სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკეებს, რაზმავს მათ მშვიდობისთვის საბრძოლველად. ამიტომაც, ყოველი ოლიმპიადა ჭადრაკის და მეგობრობის დიდი ზეიმია.

ჭადრაკის სამყარო დიდი ინტერესით მოელის ვაჟთა XXVII და ქალთა XII საჭადრაკო ოლიმპიადებს, რომელთაც 13 ნოემბრიდან სპარსეთის ყურეში მდებარე ერთ-ერთი არაბული ქვეყნის — არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქი აბუ-დაბი უმასპინძლებს.

იხ. მე-4 გვ.

ქალთა X და ვაჟთა XXI საჭადრაკო ოლიმპიადებში (ლუცერნი, 1982 წ) გამარჯვებული საბჭოთა გუნდების წევრები — (მარცხნიდან) ლევ პოლუგაევსკი, შაია ჩიბურდანიძე, ანატოლი ყარპოვი, არტურ იუსუპოვი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, გარი კასპაროვი, ნანა ალექსანდრია, მიხეილ ტალი, ალექსანდრ ბელიავსკი.

მომავალი კულტურულ-სპორტული კომპლექსისაა

დასასრული

ცანაა ებრძოლონ უკულტუროების ნებისმიერ გამოვლენას. ალკოჰოლიზმს, უშრომელ შემოსავალს. აღზარდონ სულითა და სხეულით ძლიერი, სრულფასოვანი ცვლა. სპორტულ-კულტურული კომპლექსის მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ სტავროპოლში, ბრესტში, ლენინგრადში, დონეცკის ოლქში, ხობში. საქართველოს ამ ქალაქში, მაგალითად; საბრძოლო დიდების მუზეუმთან აშენდა შესანიშნავი თეატრონი, რომელიც ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის ნამდვილ კერად იქცა. არც სიძველის ძეგლებია დავიწყებული. წარსულისა და აწმყოს შესანიშნავ შეხამებად იქცა ხობის XIII საუკუნის მონასტერი, მის ირგვლივ მშენებარე ახალგაზრდული ტყე-პარკითა და რიტუალების სახლით, სწორედ ეს არის შემოქმედებითი ძიება, საქმისადმი ახლებური მიდგომა,—აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა.

კულტურულ-სპორტულ კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხები და გარდაქმნის გზები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გააშუქა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ვ. რ. ასათიანმა.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. დ. შუბლაძემ ილაპარაკა სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა ამოცანებზე, კულტურულ-სპორტული კომპლექსების ბირობებში მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საქმეში.

რიგის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს უფროსმა მ. ვ. დაჩკაიამ ყურადღება გაამახვილა ცენტრალიზებული საკლუბო სისტემების, სოფლის კულტურის სახლებისა და კლუბების, რაიონული და სასოფლო კულტურულ-სპორტული კომპლექსების ურთიერთობის პრობლემებზე.

სექციური მეცადინეობის საკითხებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში ესტონეთის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორი ი. ვ. კოლომიეცი და ლენინგრადის კრუპსკაიას სახელობის კულტურის ინსტიტუტის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ლ. ტულჩინსკი.

თათბირ-სემინარზე შეიმუშავეს ქვეყნის კულტურულ-სპორტული კომპლექსების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაციები. (საინფორმი).

როგორ ვეგებებით ზამთარს?

თადარიგი დროულად დაჭირეს

ზამთრის სპორტული სეზონისთვის თადარიგიადად მოემზადა **„დინამოს“ ლიძავას** სასწავლო-სპორტული ბაზა. საძილე კორპუსს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, შეიცვალა გათბობის სისტემა. სპეციალისტებმა ახლით შეცვალეს საქვაბის ერთი სექცია, რომელიც მწყობრიდან იყო გამოსული. ახალი თბოტექნიკის დანადგარების წყალობით, ნაცვლად ადრინდელი 7-8 დღისა, 15-18 დღით გახანგრძლივდა თბომარაგის გამოყენება.

ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, ძალოსნობის დარბაზი ზამთრის სეზონის წინ კიდევ ერთხელ მოწესრიგდა და აქ შეუფერხებლად გაგრძელდება მეცადინეობები.

„დაბლა ეშერის“ ცენტრალური სპორტული ბაზა ზამთრის სეზონს შემოდგომიდანვე მომზადებული შეხვდა. აქ ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყეს მიმდინარე სამუშაოების ჩატარება ისე, რომ ბაზის დატვირთვის რიტმი არ დარღვეულა. სულ პერიოდულად შესრულდა დეფექტური აქტით გათვალისწინებული 33 დასახელების სარემონტო სამუშაო. ამ სამუშაოებმა მთლიანად მოიცვა თბომეურნეობა, ელექტრომეურნეობა და წყალკანალიზაციის ობიექტები. ბაზა სრულ წესრიგში ეგებება ზამთრის სეზონს.

მაია მესხია,
„ლელოს“ საკ. კორ.

სოხუმი.

...აქ კი ბავშვებს სცივათ

ამ ბოლო წლებში ბევრი აუცილებელი ღონისძიება განხორციელდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და არსებულ შესაძლებლობათა რაციონალურად გამოყენების მიზნით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბაზები ჯერ კიდევ არ მუშაობენ სრული დატვირთვით. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, კერძოდ, ზამთრის პერიოდში, გახლავთ ის, რომ მათი უმრავლესობა ცუდად, ან საერთოდ არ თბება.

უკვე კარს მოგვადგა ზამთარი. ყინვამ და სუსხმა იმძლავრა მაღალმთიან რაიონებში. ბავშვებს და ახალგაზრდებს დაეკარგათ სპორტულ მოედნებსა თუ ეზო-ქუჩებში თამაშის სურვილი და სპორტულ დარბაზებს მიაშურეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის რეკონსტრუქცია რომ უსაშველოდ ჭიანურდება, ამას როგორღაც ურიგდებიან ცხინვალელი მოზარდები, მაგრამ სკოლის ძველი დარბაზიც რომ არ თბება? მაგალითად, მარშან ორი დარბაზი საერთოდ არ გამთბარა. მართალია, აქ გათბობის სისტემა მოუწესრიგებელია, მაგრამ ცხელი წყლის მიწოდება უფრო ცენტრალური გათბობის სისტემის მუშაობა დაუდევრობით ფერხდება.

შარშან ზამთარში მეტწილად ცივ დარბაზში ვარჯიშობდნენ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მოჭიდავეები და ძალოსნები. სპორტსაზოგადოებას აქვს საკუთარი საქვაბე და მისმა თავმჯდომარემ ალ. გალეგაშვილმა დიდი ხნის ლოდინისა და თხოვნის შემდეგ, როგორც იქნა, მიიღო ელექტროენერგიის საჭირო რაოდენობის ლიმიტი და დარბაზში, იმედია, გათბება. მაგრამ აი, კრივის სკოლას დღემდე საშველი არ ადგება. ოლქში თითქმის ყველა ინსტანცია მოიარა საკითხმა მისი გათბობის შესახებ, მაგრამ ამ სკოლისთვის აუცილებელი ელექტროენერგიის ან გაზის ლიმიტის გამოყოფა დღემდე ვერ მოხერხდა.

ზამთარი კი კარს მოგვადგა. ბავშვები მოთმინებით ელიან იმ დროს, როცა ცივ ამინდშიც ექნებათ ასპარეზი.

ლეილა სუბელიანი,
„ლელოს“ საკ. კორ.

ცხინვალი.

საკავშირო კონფერენცია

სახელგანთქმულ სპეციალისტებთან ერთად

12-16 ნოემბერს ჭადრაკის სასახლე ხუთი დღით მძლეოსნობის უდიდეს ცენტრად იქცევა — გაიმართება მძლეოსნობის მწვრთნელთა, სპეციალისტთა და მეცნიერ-მუშაკთა საკავშირო კონფერენცია.

სპეციალისტთა ასეთი თავყრილობები ყოველი სპორტული სეზონის მიწურულს ცალკეულ სახეობათა მიხედვით (სპრინტი, ტყორცნა და ა. შ.) რეგულარულად იმართებოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, მაგრამ მათ, ვიწრო, ლოკალური ხასიათი ჰქონდა. ამჯერად კი, თბილისის ფორუმის მონაწილენი იმსჯელებენ მძლეოსნობის ყველა სახეობაში არსებულ პრობლემებზე. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს საბჭოთა კავშირის 400-მდე საუკეთესო მწვრთნელი და ამ დარგის მეცნიერ-მუშაკი ეწვია. ისინი განიხილავენ საჭირბოროტო საკითხებს, დაწყებული რეზერვის მომზადებიდან, ქვეყნის პირველი ნაკრების პერსპექტივით დამთავრებული.

ჭადრაკის სასახლეში შეკრებილთ საშუალება მიეცემათ მოუსმინონ სახელგანთქმულ სპეციალისტთა საუბარს. მოხსენებებით გამოვლენ ქვეყნის მთავარი ნაკრების უფროსი მწვრთნელი იგორ ტერ-ოვანესიანი, საკავშირო სპორტკომიტეტის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსი ლევან სანაძე, ცნობილი მწვრთნელები ი. ვორობიოვი, ე. ოზოლინი, კ. ბუხანცევი, ნ. პოლიტკო და სხვები. ეს კონფერენცია დიდი სკოლა იქნება მძლეოსნობის ყველა სპეციალისტისთვის, ამიტომ სასურველია, ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელებმა ნაყოფიერად გამოიყუნონ ეს დღეები. პირველი სხდომა დღეს 9 საათზე შედგება.

ᲕᲝᲙᲚᲔᲓ

ჭოკით ხტომას არ ივიწყებენ

ჯუგდიდში ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ჭოკით სიგრძეზე ხტომაში. საბჭოთა მეურნეობების შეჯიბრებაში, რომელშიც 50-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, უველას განმუხურის მეურნეობის (ინსტრუქტორ-მეთოდისტი ბ. ახალაია) გუნდმა აჯობა. პირად პირველობაშიც განმუხურელებმა გონა ზარანდიამ, ემზარ ახალაიამ და გოგი საჯაიამ იმარჯვეს. მეორე ადგილი წილად ხვდა დარჩელის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენთა კოლექტივს, მესამე ადგილზე ონარიელები გავიდნენ (ინსტრუქტორ-მეთოდისტები თ. გეგეჭკორი, ო. ხუფაცარია). კოლმეურნეობებს შორის შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ოდიშის, ბამგონისა და რუხის გუნდებმა (ინსტრუქტორები ე. სართანია, მ. ჯგუნჯგია, დ. აგაბინოვი). ამ ღონისძიებას კარგად უხელმძღვანელა მძლეოსნობის გამოცდილმა მწვრთნელმა გ. გვარამიამ.

ბიბი ალუიბაია.
(„ლელოს“ კორესპონდენტი).

ასჯერ გაზომე...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ



ყოველთვის სასიხარულოა თუ არა, შეჯიბრება „კარგად, ნორმალურად“ რომ ჩატარდება? რა თქმა უნდა, — უპალაციოდ დაასკვნის ყველა. მაგრამ თუ ასეთი შეჯიბრების მიღმა ვერაფერს ვხედავთ?

სოხუმში, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა მოფარიკაველთა (1967 წელს ან უფრო გვიან დაბადებულთა). პირველობა ჩატარდა. ჩატარდა, როგორც იტყვიან, ნორმალურად. შეეკრიბა 166 სპორტსმენი, გაითამაშეს საპრიზო ადგილები და შინ გაემგზავრნენ. მეტი რაღა უნდა მოსთხოვო შეჯიბრებას?.. ახლა კი მედლის მეორე მხარეს დავხედოთ. ახალგაზრდული შეჯიბრების მიზანი ხომ ის არის, რომ მწვრთნელთა მუშაობის ნაყოფი გვიჩვენოს და პერსპექტიული სპორტსმენები გამოავლინოს.

რა გვიჩვენა პირველობამ? ახალი არაფერი, გამარჯვებულთა შორის არიან ისევ ის სპორტსმენები, რომელთა წარმატებაც ვეღარავის გააკვირვებდა. მართალია, ორიოდე შედარებით უცნობმა მოფარიკაველემაც გამოიჩინა თავი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია ისეთი ასპარეზობისათვის, ჩვენი რეზერვის დათვალიერება რომ ავალა.

ასეთი ტენდენცია უკვე კარგა ხანია გამოიკვეთა ჩვენს ფარიკაობაში. ჭაბუკთა შეჯიბრებაზე სპორტსმენთა უმრავლესობა გამარჯვებისათვის კი არ ჩადის, არამედ იმისათვის, რომ თავის გუნდში „ვაკანსია“ შეავსოს. ასეთი სპორტსმენი, რასაკვირველია, დამარცხებასაც გულგრილად ხვდება.

მწვრთნელები ხშირად ჩივიან, ფარიკაობამ პოპულარობა დაკარგა და ნიჭიერი ბავშვებიც ნაკლებად გვაკთხავენო. შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ მთისა და მუჰამედის ამბისა არ იყოს, რა დაშავდება, რომ ავტორიტეტულმა სპეციალისტმა თვითონ მიაკითხოს მომავალ მოწაფეს? სპორტში რამდენი შემთხვევა ვიცით, როდესაც მწვრთნელის თხოვნასა და მეცადინეობას თავისი გაუტანია და მოზარდი სპორტში მეცადინეობას დაუბრუნებულა. დაუბრუნებულა და ცნობილი ათლეტიც გახმდარა.

თვითონ მწვრთნელები ამბობენ, მოფარიკავის ჩამოყალიბებას წლები სჭირდებაო. თუ ამ გზის დასაწყისში, შეგირდის არჩევისას შეცდომა მოგვივიდა, ხანგრძლივი შრომა წყალში ჩაყრილად შეიძლება ჩაითვალოს.

არ გვინდა ვინმეს გული ვატკინოთ, მაგრამ ხშირად ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებებზე ჩვენი მეტოქეების უპირატესობა გარეგნული ნიშნებითაც ჩანს. ალბათ მათი მწვრთნელები უფრო გულდასმით არჩევენ სპორტსმენებს და, ეტყობა, მეტსაც შრომობენ. ჩვენ კი ხშირად მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცალკეულ წარმატებებს და მხედველობიდან გვრჩება მთავარი. ერთ მაგალითს გეტყვით: ამ დღეებში ყაზანში ჩატარდა სკოლების გუნდების საკავშირო პირველობა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა ახალგაზრდა მუშკეტერებისათვის. — თათრეთის დედაქალაქში 33 ნაკრები ჩავიდა. ჩვენმა რამდენიმე გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. როგორც უკვე გაცნობეთ, თბილისის „ბურევესტნიკის“ ფარიკაობის სკოლის წარმომადგენლებმა ხმლით შეჯიბრებაში პირადგუნდური პირველობა მოიგეს, გაიმარჯვეს თბილისის განათლების სამმართველოს სკოლის რაპირისტმა ჭაბუკებმა, ხოლო გოგოებმა (ქეთევან გაჩეჩილაძე, თეონა გალუაშვილი, მაია მათითაიშვილი) მესამე ადგილი დაიკავეს. ამასთან, ამ სკოლის გუნდი (დირექტორი ტრიფონ შესხი) საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-5 ადგილზე გავიდა. თვალსაჩინო წარმატებაა!

მაგრამ ასეთ შედეგებს როდი ვაღწევთ ისეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე, როგორიცაა, ვთქვათ, მოსწავლეთა სპარტაკიადები, ჭაბუკთა თამაშები და საკავშირო სპარტაკიადები. რატომ ხდება, რომ ერთ პერიოდში ვუსწრებთ მეტოქეებს, შემდეგ კი, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგება, როდესაც ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის „საფარიკაო მეურნეობის“ ავკარგი უნდა გამოჩნდეს, უკანა პლანზე ვიხევთ? როგორც ეტყობა, მეტოქეებს შორის გამიზნულ, მიზანდასახულ მუშაობაშიც ჩამოვრჩებით. თუმცა ყაზანშიც აშკარად გამოჩნდა ჩვენი ძალების უთანაბრობა. მაგალითად, ქუთაისის ფარიკაობის სკოლის დაწინაურებამ 27-ე ადგილი დაიკავეს, რაპირისტებმა — 28-ე, 23-ე ადგილზე გავიდნენ „ბურევესტნიკის“ რაპირისტები და ა. შ.

ჭაბუკთა სპორტის „სენი“, ჩვეულებრივ, მოზრდილებსაც გაჰყვებათ ხოლმე. ალბათ გახსოვთ, ახლახან დამთავრებულ IX საკავშირო სპარტაკიადაზე მხოლოდ ხმლით მოფარიკავეებმა გვასახელეს. რაპირისტები და დაშნით მოფარიკავეები კი, შეიძლება ითქვას, ასევე „ვაკანსიის შესავსებად“ გაემგზავრნენ.

როდესაც შეჯიბრების მნიშვნელობის შეფასება გვსურს, პირველ ყოვლისა, იმ მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ, თუ რა მოგვცა ამ ასპარეზობამ ჩვენი სპორტის წინსვლისათვის. ამ შემთხვევაში კი ტურნირს ბევრი არაფერი მოუცია. ყველაფერი, როგორც ითქვა, „ძველებურად“ იყო.

თუმცა გამარჯვებულები მაინც იმსახურებენ ყურადღებას, ამიტომ გთავაზობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებსაც.

ხმალი. 1. ა. ლორთქიფანიძე (თბილისი); 2. ჯ. ანკვაბი (გაგრა); 3. ქ. მახარაძე (თბილისი). **გუნდური.** თბილისი.

რაპირა. ჭაბუკები. 1. გ. ზვიადაძე (ქუთაისი); 2. ო. ჯანიაშვილი (გაგრა); 3. დ. მატინოვი (თბილისი). **გუნდური.** ქუთაისი.

გოგონები. 1. ქ. გაჩეჩილაძე (თბილისი); 2. მ. ბრეგვაძე (ქუთაისი); 3. თ. გალუაშვილი (თბილისი). **გუნდური.** თბილისი.

დაშნა. 1. გ. ზურაბიშვილი; 2. ს. დიშჩუკი (ორივე — თბილისი); 3. ქ. ნებიერიძე (ზესტაფონი). **გუნდური.** თბილისი.

საერთო გუნდური. 1. თბილისი — 438; 2. ქუთაისი — 285; 3. აფხაზეთი — 204; 4. აჭარა — 183; 5. ზესტაფონი — 177; 6. რუსთავი — 108; 7. ტყიბული — 32; 8. ჭიათურა — 12. (წყალტუბოს გუნდი არ გამოუყვანია).

* * *

სურათზე: მარცხნიდან — მაია მათითაიშვილი, ქეთევან გაჩეჩილაძე, თეონა გალუაშვილი.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 ნოემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 0:1 (0:1).

„ტორპედო": მიქაძე, ფრუიძე, ჭელიძე, მალანია, თევზაძე, პაპავა, გოგატაძე, ხუნდაძე, ტყავაძე, მანაგაძე, შენგელია.

„სპარტაკი": დასაევი, კაიუმოვი, კუზნეცოვი, ხიდიატულინი, ბუბნოვი, შიბაევი, კაპუსტინი, ეროომენკო (მიტინი, 60), ნოვიკოვი (შალიმოვი, 75), რუდაკოვი, როდიონოვი.

გოლი: ხიდიატულინი (28).

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

დუბლიორები — 0:1.

გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ქუთაისის ტორპედოელთათვის წლევანდელი უიღბლო და წარუმატებლად ჩატარებული ჩემპიონატის ბოლო ტურებში გუნდი რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელის გარეშე თამაშობდა. სპარტაკელებთან შეხვედრაში მათ კორღალიძე და მეგრელაძეც დაემატნენ და ჩემპიონატის გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან ძნელ მატჩში შინდორზე „ტორპედოს" ახალგაზრდული შემადგენლობა ვიხილეთ. ისიც უნდა ითქვას, რომ დებიუტანტებს, წინა მატჩისგან განსხვავებით, მონდომება არ დაუშურებიათ. აქტიურად თამაშობდნენ, მაგრამ მონდომება ერთია, ოსტატობა კი — სხვა. სწორედ გამოუცდელობის თუ ჯერჯერობით დაუხვეწელი ოსტატობის ბრალია ის, რომ ერთ-ერთ ლიდერთან მატჩის ბევრ მომენტში გარკვეული სათამაშო თუ ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს სასურველი შედეგის მიღწევა.

რაც შეეხება სპარტაკელებს, საფრანგეთის „ტულუზასთან" ასე ბრწყინვალედ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ ისინი საკმაოდ დაღლილნი ჩანდნენ, თითქოს საკუთარი სურვილით დაუთმეს მასპინძლებს უპირატესობა და მხოლოდ ეპიზოდური კონტრშეტევებით ცდილობდნენ აგრერიგად საჭირო ორი ქულის აღებას, რაც შეძლეს კიდეც...

28-ე წუთზე მოსკოველთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევის დროს, როცა ქუთაისელთა კარს თითქოს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, ხიდიატულინმა საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან მოულოდნელად დაარტყა. ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ბადეში გაეხვია — 0:1.

ეს იყო და ეს. მატჩის დარჩენილ დროში უფრო აქტიურად მასპინძლები თამაშობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს აკლდა ოსტატობა, ორგანიზებულობა და დასაევსაც დიდი ჯაფა არ დასდგომია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 73-ე წუთს, როცა მეკარის პირისპირ გასულმა მანაგაძემ ბურთი წაქცეულ დასაევს მოახვედრა. მოსკოველები მშვიდად, აუღელვებლად იცავდნენ თავს და არც გასჭირვებიათ ამ მინიმალური ანგარიშის შენარჩუნება.

ამრიგად, „ტორპედომ" საკუთარ მინდორზე ბოლო მატჩი ჩაატარა. ცხადია, „ტორპედომ" ვერ გამოავლინა ის შესაძლებლობები და ბრძოლისუნარიანობა, რომელიც აგრერიგად საჭიროა უმაღლეს ლიგაში. სამწუხაროდ, კოლექტივი ამჟამად ღრმა და სერიოზულ კრიზისს განიცდის, აქედანვე საჭიროა გადამჭრელი ზომები, რომ პირველ ლიგაშიც ასეთ მდგომარეობაში რა აღმოვჩნდეთ.

თამაზ ხარაბაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

10 ნოემბერს შედგა სსრ კავშირის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის ბოლო მატჩები.

ვილნიუსის „ჟალგირისმა" თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო". ფრედ ითამაშეს ერევნის „არარატმა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" — 3:3, ხოლო ხარკოვის „მეტალისტმა" შინ მოუგო მინსკის „დინამოს" — 1:0.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" მე-12 მატჩი დაამთავრა ფრედ, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებში მისი ფეხბურთელების მონაწილეობის გამო გუნდს დაერიცხა ქულა.

განვლილი ტურის შემდეგ გამოვლინდა უმაღლესი ლიგის კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ქუთაისის „ტორპედოსთან" ერთად დატოვებს უმაღლეს ლიგას. ესაა ოდესის „ჩერნომორეცი".

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1.	„დინამო" (მოსკოვი)	26	12	10	4	36-22	34	(—18)
2.	„სპარტაკი" (მოსკოვი)	28	12	9	7	42-19	33	(—23)
3.	„ზენიტი" (ლენინგრადი)	27	11	9	7	39-27	31	(—23)
4.	„შახტიორი" (დონეცკი)	29	11	9	9	39-34	31	(—27)
5.	„დინამო" (თბილისი)	28	10	9	9	30-33	29	(—27)
6.	„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	28	10	8	10	27-30	28	(—28)
7.	„ქაირათი" (ალმა-ათა)	29	10	8	11	30-37	28	(—30)
8.	„დინამო" (კიევი)	23	9	10	4	36-24	28	(—18)
9.	„ტორპედო" (მოსკოვი)	29	9	11	9	30-28	28	(—30)
10.	„მეტალისტი" (ხარკოვი)	27	9	9	9	19-19	27	(—27)
11.	„დინამო" (მინსკი)	28	9	8	11	29-36	26	(—30)
12.	„ნეფთჩი" (ბაქო)	28	8	12	8	32-32	26	(—30)
13.	„არარატი" (ერევანი)	28	8	10	10	25-32	26	(—30)
14.	„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	28	7	12	9	37-38	26	(—30)
15.	„ჩერნომორეცი" (ოდესა)	28	7	7	14	24-34	21	(—35)
16.	„ტორპედო" (ქუთაისი)	28	5	7	16	24-55	17	(—39)

ფეხბურთი

ბავშვთა სპორტი — რეზერვი

მოდის დიდი ფეხბურთის ცვლა

დასასრული

— უმაღლესი და პირველი ლიგების ოსტატ კოლექტივებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო შეჯიბრება მეტად მნიშვნელოვანი, საყურადღებო და სასარგებლო ღონისძიებაა. არსებითად, ესაა საბჭოთა ფეხბურთის უახლოესი რეზერვების შემოწმება, თავისებური გამოსაშვები კურსები. ისევე როგორც სხვა ანალოგიურ სკოლებში, აქაც თითოეული ნიჭიერი, პერსპექტიული ჭაბუკი ფეხბურთელი საგანგებო აღრიცხვაზე ჰყავთ თბილისის „დინამოს" მწვრთნელებს. საკავშირო ტურნირში ყოველ წელს მონაწილეობენ ჭაბუკი ფეხბურთელები, რომლებსაც უკვე საკმაოდ კარგად იცნობენ ფართო საფეხბურთო წრეები, ზოგიერთი მათგანი საკავშირო ნაკრებში და უმაღლესი ლიგის დუბლიორთა რიგებშიც თამაშობს, მაგრამ ჩვენ სამერმისო პერსპექტივებიც გავითვალისწინეთ და ჩვენს გუნდში მივიწვიეთ 1970-71 წლებში დაბადებულნიც. ვიცოდით, რომ ეს კარგი მომავლის მქონე, პერსპექტიული ფეხბურთელებია.

სპეცსკოლების საკავშირო შეჯიბრება საკმაოდ რთულია და 3 ეტაპისაგან შედგება, ამდენად ჭაბუკ ფეხბურთელებს ხანგრძლივი გამოცდების პერიოდი აქვთ. პირველ ეტაპზე მიღწეული წარმატების შემდეგ თბილისის „დინამომ" მონაწილეობა მიიღო ნახევარფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც ფრუნზეში გაიმართა, და ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა, გადამწყვეტი თამაშები კი მოსკოვში გაიმართა, ფინალურ ექვსეულში მონაწილეობდნენ მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", ოდესის „ჩერნომორეცი", ტაშკენტის „ფახთაქორი", ფრუნზეს „ალგა" და თბილისის „დინამო". ფინალური მატჩები მიმდინარეობდა მეტად საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე, ძალზე ძლიერად ითამაშეს მოსკოვის დინამოელებმა, გამარჯვებულებმა 9 ქულა დააგროვეს. თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" 6-6 ქულა აღმოაჩნდათ, მაგრამ ამ ორი გუნდის უშუალო შეხვედრაში გამარჯვება თბილისელებს ხვდათ წილად, ამიტომაც ისინი მეორე ადგილზე გავიდნენ. ჩვენს გუნდს სამივე ეტაპის მანძილზე ავარჯიშებდნენ ბ. სიჭინავა, თ. ჩარკვიანი, ნ. მუმლაძე და რ. გაგუა. ფინალური ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო თბილისის „დინამოს" პერსპექტიული მცველი მიშა კალატოზიშვილი, რომელმაც სპეციალისტთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. კარგად ითამაშეს, აგრეთვე, მეკარე გიორგი კრჩიშვილმა, მცველმა იური ალბოროვმა, უფროს ჭაბუკებს არ ჩამორჩნენ 1971 წელს დაბადებული ფეხბურთელები სოსო ბარამიძე, დათო ყიზალიშვილი და სხვანი.

როგორც აღვნიშნეთ, მეტოქე გუნდებში თამაშობდნენ უკვე ცნობილი ფეხბურთელები, მაგალითად, მოსკოვის „სპარტაკის" შემადგენლობაში გამოდიოდა იგორ შალიმოვი, რომელიც ახლა სპარტაკელებს უმაღლესი ლიგის ძირითად შემადგენლობაში გამოჰყავთ, მოსკოვის დინამოელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ დუბლიორთა გუნდის წევრები კირილ რიბაკოვი, ედუარდ პროხოროვი, ევგენი გორშკოვი, ფრუნზეს „ალგა" კი უმთავრესად ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული.

ჩვენი კოლექტივიდან სსრ კავშირის ნაკრებში მოხვდნენ მიშა კალატოზიშვილი და კახა ნადარეიშვილი, გარდა ამისა, თერთმეტი ფეხბურთელი „იმედის" რესპუბლიკურ ნაკრებში მიიწვიეს.

ერთი სიტყვით, კარგი მომავლის, პერსპექტიული ფეხბურთელები როგორც თბილისის „დინამოში", ისე ჩვენს სხვა სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებში საკმარისად გვყავს, მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ აქ ყველას გვაწუხებს ძველი, ქრონიკული სატკივარი: ფეხბურთის მოყვარულებმაც კარგად იციან, რომ გვყავს ნიჭიერი ჭაბუკები, მაღალ ადგილებსაც ხშირად ვიკავებთ დიდ საკავშირო შეჯიბრებებში, ამ პერსპექტიულ ფეხბურთელთა საგრძნობი ნაწილი კი, სამწუხაროდ, შემდგომში უკვალოდ იკარგება დიდი ფეხბურთიდან. თვით ეს მოვლენა ფრიად დასანანი ამბავია, მას, რა თქმა უნდა, თავისი გამომწვევი მიზეზები გააჩნია. ერთ-ერთი უმთავრესი ამ მიზეზთაგანი ის არის, რომ თბილისში არა გვყავს საბაზო გუნდი, სადაც შეგვეძლება თავი მოვუყაროთ სკოლადამთავრებულ ნიჭიერ ფეხბურთელებს, შევუქმნათ საშუალება. შემდგომში იქ განაგრძონ ერთობლივი წვრთნაც და შეჯიბრებებში მონაწილეობაც. მოსკოვში, მაგალითად, 3 გუნდია ოსტატთა II საკავშირო ლიგაში — ქ. კამირის „დინამო", ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა და ცსკა-2. სწორედ ამ საბაზო გუნდებში გადიან სკოლისშემდგომ აუცილებელ კვალიფიკაციას ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები, აქ გრძელდება მათი შემდგომი საფეხბურთო დაოსტატება და უმაღლესი ლიგის მწვრთნელებიც ადვილად უწევენ კონტროლს მათს პროგრესს. ვფიქრობთ, თბილისშიც უნდა შეიქმნას ჭაბუკთა კოლექტივი, რომელიც რესპუბლიკურ ჩემპიონატში ან მეორე ლიგის საკავშირო პირველობაზე ითამაშებს. ეს უნდა იყოს სტაბილური გუნდი, უფრო სწორად — კლუბი, სადაც მოვიწვევთ არა მარტო თბილისელ, არამედ სხვა რაიონებისა და ქალაქების ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ამ გუნდმა უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს ქულების მოპოვება და მაღალი ადგილების დაკავება კი არა, არამედ ითამაშოს იმისთვის, რომ გამოავლინოს, თავისი რიგებიდან დააწინაუროს კარგი მომავლის ოსტატები, რესპუბლიკის მაღალი კლასის გუნდების ღირსეული შემცვლელი თაობა. ასეთი გუნდი, უდავოა, დიდ სარგებლობას მოგვიტანს, იგი რეზერვების მანევრირების საშუალებას შეგვიქმნის.

ცნობილია ისიც, რომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შემდეგ ფაქტიურად თავს ანებებს ფეხბურთს, ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ფეხბურთის გუნდი საერთოდ არ არსებობს, ამიტომ ზემოხსენებული ჭაბუკები ფეხბურთის მიღმა რჩებიან.

თბილისის „დინამოს" ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სკოლას 1971 წლიდან არ ჰქონდა საკუთარი ბაზა, იმ ხანებში დიდად გვიჭირდა. ახლა მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა, აგვიშენეს პირველხარისხოვანი საფეხბურთო კომპლექსი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ კავშირში და სკოლაში მომუშავე თითოეული მწვრთნელიც ახლა თავის საპატიო მიზნად ისახავს თბილისის „დინამოსათვის" აღზარდოს ღირსეული ფეხბურთელები. როგორც ზევით ვთქვით, ასეთი ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელები საკმაოდ გვყავს, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფართო სპორტული საზოგადოებრიობა, ფეხბურთის მოყვარულები მალე გაიგებენ მათს სახელებს.

I ლიგის საგზურებისთვის

გრძელდება II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი I ლიგის საგზურების მოსაპოვებლად.

მოსკოვის „კრასნაია პრესნიამ" ანგარიშით 9:2 დაამარცხა კიროვაბადის „ქიაფაზი",. ტიუმენის „გეოლოგმა" — ლიპეცკის „მეტალურგი" — 1:0, ხოლო ვოროშილოვგრადის „ზარიამ" — სარატოვის „სოკოლი" — 3:1.

ქვეჯგუფებში ლიდერობენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", ლიპეცკის „მეტალურგი" და ვოროშილოვგრადის „ზარია".

ი. ჯინჭარაძის მემორიალი

ბათუმი. (ტელეფონით ჩვენი კორ.) დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის ტრადიციული მემორიალი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

გათამაშების ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ადგილის პრეტენდენტები ქუთაისის „ნორჩი სტადიონელი" და მოსკოვის „სმენა". საინტერესო ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა და მეტოქეებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ — 7-7, მაგრამ ქუთაისელ ფეხბურთელებს შეჯიბრების მსვლელობაში ნაკლები დარღვევები ჰქონდათ და დებულების თანახმად, პირველი ადგილიც მათ მიეკუთვნათ. მესამე ადგილზე გავიდა ბათუმის ჭაბუკ ფეხბურთელთა სპეციალიზებული სკოლის გუნდი.

გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე ს. დენდერსკისი (ბლაგოევგრადის „პირინი"), მცველი რ. ხოგოვაძე (ქუთაისის „ნორჩი სტადიონელი"), ნახევარმცველი ვ. მახარაძე (ბათუმის ჭაბუკთა სპეციალიზებული სკოლა), თავდამსხმელი ა. დრაგუნცევი (მოსკოვის „სმენა"). 6 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა ქუთაისელმა დ. ნოზაძემ.

ოთარ მურვანიძე.

კარგი თაოსნობა

1988 წლიდან მოყოლებული, აბაშის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე ნ. გახოკიძე) ყოველწლიურად ატარებს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი წევრის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას სახელობის თასის გათამაშებას ფეხბურთში. ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც წლეულს მეოთხედ ჩატარდა, რაიონის 28 ფიზკულტურის კოლექტივის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში გავიდნენ ქოლობნის მეურნეობისა და აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს გუნდები. 2:1 გაიმარჯვეს ქოლობნელმა ფეხბურთელებმა და მეორედ მოიპოვეს საპატიო პრიზი.

იორამ ნიკოლეიშვილი.

უნივერსიადა—86

სტუდენტთა კრივი პოპულარული ხდება

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოს პროფკავშირთა ყრილობისადმი მიძღვნილი სტუდენტთა რესპუბლიკური უნივერსიადა. ჩოგბურთელთა და წყალბურთელთა შეჯიბრებების შედეგების შესახებ უკვე გაუწყეთ, დღეს მოკრივეთა ასპარეზობის ანგარიშს გთავაზობთ.

რინგზე საკმაოდ კარგმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. შეჯიბრება, რომელიც თბილისში, „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზში გაიმართა, ჩაებნენ საკავშირო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში გამარჯვებულები და პრიზიორები: დ. ყუფარაძე, ბ. ბურჯანაძე, ა. ჯიმშელეიშვილი, ს. ასანიძე, დ. შარვაშიძე და სხვები, რომელთა სახელებს კარგად იცნობენ ჩვენი კრივის მოყვარულები. სწორედ ამიტომ იყო, ორთაბრძოლები საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ რომ წარიმართა. სპეციალისტების ყურადღება მიიქცია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა დავით შარვაშიძემ (63,5 კგ), რომელმაც „საუკეთესო ტექნიკისათვის" დაწესებული პრიზი დაიმსახურა და შეჯიბრებაში გაიმარჯვა. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი დავით კაზიშვილი (54 კგ) შეუპოვრად იბრძოდა, რისთვისაც სპეციალური პრიზი „გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის" დაისაკუთრა, დავითი ჩემპიონიც გახდა. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა 81 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ზურაბ ტოსტიაშვილმა.

ამ მოკრივეთა გარდა გაიმარჯვეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა მალხაზ მდივანმა (51), ჯოვანი ვარდანიანმა (57), ნუკრი ჯაჭვაძემ (60). დავით უსუპიანმა (67), ბესიკ გურჯიამ (71), ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დომენტი დანელიამ (91), ანზორ ჯიმშელეიშვილმა (91), სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა ემზარ ნინუამ (75) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვლადიმერ გვრიტიშვილმა.

გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა (210 ქულა). მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისის უნივერსიტეტის, ხოლო მესამეზე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები.

შეჯიბრების მონაწილე ცხრა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიდან ფინალში მხოლოდ თბილისის სამხატვრო აკადემიისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის წარმომადგენლები ვერ მოხვდნენ.

— ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ კრივის გავრცელების არეალი გაიზარდა, ესე იგი, კრივი თანდათან პოპულარული ხდება, — გვითხრა შეჯიბრების უფროსმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონმა დავით კვაჭაძემ. — შეჯიბრებაზე ვიხილეთ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი. სტუდენტთა რესპუბლიკურ ასპარეზობაზე პირველად გამოვიდნენ, და წარმატებითაც, სოხუმის უნივერსიტეტის მოკრივეებიც. მოკრივეს აღზრდა უმაღლეს სასწავლებელში ძნელია, ამიტომ შეჯიბრებაში სრული გუნდი თითქმის ვერავინ გამოიყვანა, მაგრამ ეს თავის გასამართლებლად არ გამოადგებათ ცხინვალის, ბათუმისა და გორის უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც უნივერსიადაზე ერთი სპორტსმენიც კი ვერ მოავლინეს.

ავთანდილ ჭუჯიშვილი.

ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადა

ამჯერად სპარსეთის ყურეში

დასასრული

ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადა პირველად 1927 წელს ლონდონში გაიმართა. მეორე მსოფლიო ომამდე მოჭადრაკეები 8-ჯერ შეიკრიბნენ თავიანთ დიდ ფორუმზე. ამ ოლიმპიადებში პრიზი — გამოჩენილი ინგლისელი საჭადრაკო მოღვაწის ჰამილტონ-რასელის თასი — მოუპოვებიათ უნგრეთის (1927, 1928 წწ.), პოლონეთის (1930), აშშ-ის (1931, 1933, 1935, 1937 წწ.) და გერმანიის (1939 წ.) გუნდებს. ომის შემდეგ ოლიმპიადების გამართვა განახლდა. 1950 წელს იუგოსლავიაში ადგილობრივი გუნდი დაეუფლა ჩემპიონის ოქროს მედლებს.

მაგრამ აი, ოლიმპიადაში საბჭოთა მოჭადრაკეები ჩაებნენ (1952 წ.) და მათ ტოლი არავის დაუდეს. სწორედ მათ დაამშვენეს მსოფლიო საჭადრაკო მოძრაობის ეს დიდი საკრებულო. ჯერ კიდევ მაშინ ჩვენები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონებიც (მ. ბოტვინიკი, ლ. რუდენკო) და ტიტულის მთავარი მაძიებლებიც. საბჭოთა მოჭადრაკეები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ 1952 (მასპინძელი ქალაქი ჰელსინკი), 1954 (ამსტერდამი), 1956 (მოსკოვი), 1958 (მიუნჰენი), 1960 (ლაიფციგი), 1962 (ვარნა), 1964 (ტელ-ავივი), 1966 (ჰავანა), 1968 (ლუგანო), 1970 (ზიგენი), 1972 (სკოპლე), 1974 (ნიცა), 1980 (ლა-ვალეტა), 1982 (ლუცერნი) და 1984 (სალონიკი) წლებში.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების გუნდებს არაბთა სამყაროს მიმართ ისრაელის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად 1976 წლის ჰაიფის ოლიმპიადაში მონაწილეობა არ მიუღიათ. 1978 წელს ბუენოს-აირესში კი ჩვენებმა, რომლებსაც უნგრელმა დიდოსტატებმა აჯობეს, ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აბუ-დაბიში საბჭოთა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამოვა: მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, დიდოსტატები ანდრეი სოკოლოვი, არტურ იუსუპოვი, რაფაელ ვაჰანიანი, ვიტალი ცეშკოვსკი.

საჭადრაკო ოლიმპიადა გრანდიოზული შეჯიბრებაა. საკმარისია თვალი გადაავლოთ მის ისტორიას, რომ ამ შეჯიბრების პოპულარობის განუხრელ ზრდაში დარწმუნდე, ომამდე ყველაზე წარმომადგენლობითი იყო VI ოლიმპიადა (1935 წ. ვარშავა), რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულ გუნდში იყო ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო წევრი). მერე და მერე შესამჩნევად გაიზარდა მონაწილე გუნდების რაოდენობა: 1952 წლის ოლიმპიადაში — 25 გუნდი გამოვიდა, 1960 წელს — 40, 1964 წელს — 50, 1970 წელს — 60, 1974 წელს — 74, 1980 წელს — 82, 1982 წელს — 92.

XXVII ოლიმპიადაში ასზე მეტი გუნდის მონაწილეობაა მოსალოდნელი. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ოლიმპიზმის იდეების პოპულარობას, მეგობრობისა და ურთიერთგაგებისადმი მოჭადრაკეების სწრაფვას.

ოლიმპიადის დღეებში, როგორც წესი, ფიდე-ს მორიგი კონგრესი ეწყობა. აბუ-დაბიში კონგრესმენებმა მრავალი აქტუალური საკითხი უნდა განიხილონ, მონაწილეობა უნდა მიიღონ ფიდე-ს პრეზიდენტის არჩევნებში. დარჩება ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები) პრეზიდენტად, თუ მას ბრაზილიელი ლინკოლნ ლუსენა შეცვლის, ეს ჯერ არავინ იცის, თუმცა, თავად კამპომანესი დარწმუნებულია, რომ კვლავ პრეზიდენტი იქნება. განსახილველ საკითხთა შორის, ყველას აზრით, უმთავრესია მსოფლიო პირველობის რეგლამენტის საკითხი. საქმე ისაა, რომ დიდ მოჭადრაკეთა უმრავლესობა გათამაშების ორწლიანი ციკლის წინააღმდეგია. ისინი სამწლიანი ციკლის დაბრუნებას მოითხოვენ. ამბობენ, უმრავლესობის აზრს გაუწევენ ანგარიშსო.

თენგიზ გიორგაძე.

მხატვრული ტანვარჯიში

არმიელთა ფორუმი

თბილისის „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსში ჩატარდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ფლოტის XXX ჩემპიონატი; რომელშიც არმიის რვა და პირად პირველობაში მონაწილე ამდენივე გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაკრებმა, რომლის ღირსებას იცავდნენ თინათინ ნადირაშვილი, ელისო ბედოშვილი, ინგა ჩხეიძე, ვერა ყიფიანი, იზო მთავრიშვილი და ელადა კოზმოვა, გუნდურ ჩაფვლაში მეორე ადგილი დაიკავა, რაც ქართველი არმიელების უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

პირად პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: პირველ ადგილზეა მოსკოველი დიანა ხალილულინა (57,8 ქულა), მეორეზე — ოლლა გავრიკოვა (56,85 ქულა), მესამეზე — თინა ნადირაშვილი (56,55 ქულა).

გაგაცნობთ საგნებით ფინალურ ასპარეზობაში ნაჩვენებ ტექნიკურ შედეგებს.

უსაგნოდ ვარჯიში: 1. ხალილულინა — 18,95, 2. ნადირაშვილი — 18.35, 3. ბედოშვილი —18.45; **სახტუნელა:** 1. ხალილულინა — 19.6, 2. გავრიკოვა — 19.2, 3. ნადირაშვილი — 18,85; **რგოლი:** 1. სალიახტიდინოვა — 19.0, 2. ჩხაიძე — 19,0, 3. ბედოშვილი — 18,85; **გურზები:** 1. ხალილულინა — 19,6, 2. ნადირაშვილი — 19,95, 3. ბალიკინა — 18,75; **ბურთი:** 1. ხალილულინა — 19,85, 2. გავრიკოვა — 19,2, 3. ბედოშვილი — 19,1; **ბაფთა:** 1. ხალილულინა — 19,55, 2. გავრიკოვა — 18,95 3. ჩხაიძე — 18,75.

აი, რა თქვა ამ შეჯიბრების შესახებ არმიისა და საზღვაო ფლოტის ცენტრალური საბჭოს მთავარმა მწვრთნელმა შამილ ვილდანოვმა — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაკრები გუნდი, სხვა გუნდებთან შედარებით, მეტი სტაბილურობით გამოირჩეოდა. წინსვლა ეტყობათ ელისო ბედოშვილს (მწვრთნელი ლუბა სერგოვანცევა), ინგა ჩხაიძეს (მწვრთნელი ნელი სალაძე), ვერა ყიფიანს (ე. ალექსიძე), ე. კოზმოვას (ლ. სოფრომაძე). მათგან უფრო მეტს უნდა მოველოდეთ. ვოლგოგრადის საკავშირო პირველობაზე, რომელიც 19 ნოემბერს დაიწყება, ცსკა-ს ნაკრები გუნდის ღირსებას სწორედ ისინი დაიცავენ.

ჩოგბურთის ამბები

ნორტ-ლიტლ-როკი. როგორც ვიუწყებოდით, ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის „ვირჯინია სლიმზ"-ის ფინალში თამაშის უფლება 15 წლის ნატალია ზვერევამ მოიპოვა. მეორე ფინალისტი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულის წევრი ამერიკელი კეტი რინალდი იყო. პირველი პარტია ზვერევამ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დათმო — 4:6, მეორე კი თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 7:6. გადამწყვეტი პარტია ამერიკელი ჩოგბურთელის უპირატესობით აღინიშნა (6:0), რომელმაც მოიგო კიდეც შეხვედრა და მასთან ერთად მთავარი პრიზი.

სტოკჰოლმი. სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატში, რომელიც ტრადიციულად დახურულ კორტებზე ტარდება, მონაწილეობა მიიღო ბევრმა ცნობილმა ჩოგბურთელმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შვედი სპორტსმენები — მატს ვილანდერი და სტეფან ედბერგი (მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით მესამე და მეოთხე ჩოგბურთელი). გამარჯვება ამჯერად 20 წლის ედბერგს დარჩა — 6:2, 6:1, 6:1.

ანტვერპენი. ბელგიის ამ ქალაქში დამთავრდა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჯონ მაკინროუ (აშშ) და მიროსლავ მეჩირი (ჩეხოსლოვაკია). 27 წლის ამერიკელმა, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელად ითვლებოდა, ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 6:3, 1:6, 7:6, 6:2.

სუპერთასი — „ბარსელონას"!

ბარსელონაში ჩატარდა განმეორებითი მატჩი სუპერთასისთვის მებრძოლ ვაჟ კალათბურთელთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბარსელონა" და ზაგრების „ციბონა". მატჩს, რომელსაც 6 000 მაყურებელი დაესწრო, ესპანელი არბიტრები სჯიდნენ (ფაიარდო და ერერა).

ესპანელთა უპირატესობა პირველივე ტაიმში გამოიკვეთა (61:47). მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებული მასპინძლები მეორე ტაიმშიც ფლობდნენ ინიციატივას და როგორც თვით იუგოსლაველი მიმომხილველები აღნიშნავენ, დამსახურებულადაც გაიმარჯვეს — 99:87. „ბარსელონამ" წარმატებას უფრო იმიტომ მიაღწია, რომ მან შეძლო დრაჟენ პეტროვიჩის უვნებელყოფა. ამ საქმეს კარგად გაართვეს თავი ამერიკელმა სიმპსონმა და ხუან ანტონიო სან-ეპიფანიომ. თუ პირველ მატჩში ზაგრებში პეტროვიჩმა თავის გუნდს 47 ქულა შესძინა, ამჯერად მის პირად ანგარიშზე მხოლოდ 23 ქულა იყო. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც მასპინძელთა წარმატება უზრუნველყო, ის იყო, რომ „ბარსელონა" აშკარად სჯობნიდა მეტოქეს ფარქვეშ ბრძოლაში. გამარჯვებულთა გუნდის მოთამაშეებიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ სიბილიო (20 ქულა). ხიმენესი (18), სან-ეპიფანიო და ბრანტი (15-15).

ახლა გაგაცნობთ სუპერთასის მფლობელის „ბარსელონას" შემადგენლობას. ანდრე ხიმენესი (24 წლის, 204 სმ), ხოაკინ კოსტა (29, 181), კანდიდო სიბილიო (28, 200 სმ), იგნასიო სალასაბალი (28, 185), სტივ ტრუმბო (26, 206), კენეტ სიმპსონი (26, 195), იულიან ორტისი (20,204), ხუან დე ლა კრუსი (32, 203), ფერან მარტინესი (18,209), უელს ბრენტი (25, 211), ხუან ანტონიო სან-ეპიფანიო (27, 196), გუნდის მწვრთნელია აიტო გარსია რენესესი.

მერაბ კალანდაძე.

„ტრაჩერის" ძნელი გამარჯვება

გამოვლინდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური ტურნირის ექვსივე მონაწილე. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირიდან ამ ეტაპზე ბრძოლის უფლება კაუნასის „ჟალგირისმა" მოიპოვა. მასთან ერთად საპატიო პრიზისათვის იასპარეზებენ: მადრიდის „რეალი", იუგოსლავიის „ზადარი", საფრანგეთის „ორტეზი", იტალიის „ტრაჩერი" და ისრაელის „მაკაბი". ორი უძლიერესი კოლექტივი ამ ექვსეულიდან ტურნირის ბოლოს საპატიო პრიზს გაითამაშებენ.

„ჟალგირისმა" თასის წინა ასპარეზობაში ფინალამდე მიაღწია. რაც შეეხება გამარჯვებულ გუნდს — იუგოსლავიის „ციბონას", იგი თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს.

ნახევარფინალის საგზურისთვის ბრძოლაში ყველაზე დიდი გაჭირვება იტალიის გუნდს „ტრაჩერს" გადახდა (მარშან იგი „ოლიმპია სიმაკის" სახელით ასპარეზობდა). საბერძნეთის კლუბ „არისთან" პირველ მატჩში იტალიელები, რომლებსაც ყველა სპეციალისტი ფავორიტად მიიჩნევდა, მოულოდნელად დამარცხდნენ, თანაც საკმაოდ დიდი ანგარიშით — 67:98. 31-ქულიანი დეფიციტის ლიკვიდირება არც ისე იოლი საქმე ჩანდა, მით უფრო, რომ „არისის" შემადგენლობაში გამოდიოდა ექსტრაკლასის კალათბურთელი გალისი (პირველ შეხვედრაში თავის გუნდს მან 42 ქულა მოუტანა).

განმეორებით მატჩში იტალიელებმა მთელი ყურადღება ამ კალათბურთელის ნეიტრალიზაციაზე გადაიტანეს, და მიზანსაც მიაღწიეს. გალისმა თავის კოლექტივს მხოლოდ 16 ქულა მოუტანა. იტალიელთა შორის, რომლებმაც მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 83:49, ყველაზე შედეგიანი მოთამაშე პრემიერი იყო — 20 ქულა. 34-ქულიანმა სხვაობამ „ტრაჩერს" ნახევარფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მისცა.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 12 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სტადიონი ყველასთვის — **17.10 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში — **21.30 (1)** და **0.30 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 12 ნოემბერი. სამეცნიერო პოპულარული ფილმი „ჭადრაკი ანფასსა და პროფილში" (პირველი ჩვენება) — **18.20;** სპორტული გადაცემა — **22.40.**

საქართველოს რადიო. 12 ნოემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **11.40;** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. პირველი ლიგა: „გურია" (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — **19.00.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66488. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07725